Classification: Restricted to Partners

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება No -----

ქ. -------- **--.--**
.20--

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი
კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:

(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური;)[1]
(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური;
--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. (რეფინანსირების განაკვეთს)(EURIBOR-ს)(Term SOFR-ს)(TIBR-ს) დამატებული -- %;)[2]
(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. (რეფინანსირების განაკვეთს)(EURIBOR-ს)(Term SOFR-ს)(TIBR-ს) დამატებული -- %;)[3]

რეფინანსირების განაკვეთის შემთხვევაში:
(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ წლიური **---** %-ისა და არაუმეტეს წლიური --- %-ისა.)

EURIBOR-ის შემთხვევაში:
(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება „EURIBOR“-ი, მაგრამ არაუმეტეს წლიური --- %-ისა თუ „EURIBOR“-ი ნულზე ნაკლებია, მაშინ „EURIBOR“-ი ითვლება ნულად.)

Term SOFR-ის შემთხვევაში:
(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება Term SOFR-ი, მაგრამ არანაკლებ წლიური **--**%-ისა და არაუმეტეს წლიური --%-ისა.)

TIBR-ის შემთხვევაში:
(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის/მსესხებლების დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება TIBR-ი, მაგრამ არანაკლებ წლიური --%-ისა და არაუმეტეს წლიური --%-ისა.)

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- %;
(კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;)[4]

ფინანსური ხარჯები:

---

[1] თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
[2] თუ სესხი გაიცემა ფიქსირებული და ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით (შერეულ განაკვეთიანი სესხი);
[3] თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით;
[4] მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

ყოველთვიური შენატანები ((ძირითადი თანხა და პროცენტი): ----.-- ლარი/ევრო/აშშ დოლარი.
ვადის ბოლოს შენატანი ----.-- ლარი/ევრო/აშშ დოლარი.)[5] (თანდართული გრაფიკის შესაბამისად.)[6] (შენატანები შეიცვლება ინდექსის ცვლილების შესაბამისად;)[7]
დაზღვევის ხარჯები:**---.--**
კრედიტის გაცემის საკომისიო: --.--
თანხის განაღდების საკომისიო: --.—
გადარიცხვის საკომისიო: --.—
უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი: --.--
ნოტარიული ხარჯი: --.--
სესხის გაცემის საკითხის განხილვის საკომისიო: --.--

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: ---.-- ლარი/აშშ დოლარი/ევრო
მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: --.-- ლარი/ევრო/აშშ დოლარი.
კრედიტის და საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --- თვე;
მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ „დამატებითი სახელშეკრულებო პირობების“ მუხლი 8[1], რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.[8]
მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.[9]
კრედიტის ვადამდე დაფარვის საკომისიო: ა) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი ფიზიური პირის, ასევე, მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ არ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), წინსწრებით დაფარული კაპიტალის არაუმეტეს 0.5%. ბ) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), ასევე, ვალდებულების მოცულობის მიუხედავად, მსესხებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში. (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში; ბ) 0,5% 6-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;) (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვემდე ვადის შემთხვევაში; ბ) 0.5% - 6-დან 12 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 12-დან 24 თვემდე ვადის

[5] თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები თანაბარია
[6] თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები არათანაბარია
[7] მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე
[8] თუ მსესხებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება
[9] თუ მსესხებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

შემთხვევაში; დ) 2 % - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;) (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0.5% - 6 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში და 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში;)

(პროექტის მოქმედების პერიოდში საკუთარი სახსრებით დაფარვის შემთხვევაში 0%;)[10]

სესხზე საშეღავათო პერიოდის არსებობისას, პირველ რიგში დაიფარება საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი/პირგასამტეხლო/ნებისმიერი სახის ხარჯი სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

წინამდებარე კრედიტი გაცემულია სესხის ვადის დაგრძელვადიანების პირობით. სასესხო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მსესხებლის მომართვის შემთხვევაში, ბანკი კისრულობს ვალდებულებას სესხის ვადა გაახანგრძლივოს არაუმეტეს სესხის გაცემიდან -- თვემდე ვადით, ხოლო ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩება უცვლელი.[11]

ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: სესხის ვადაგადაცილებული შენატანიდან ძირითადი თანხის --- % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობის დაანგარიშება ყოველი ვადის გადაცილებისას არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას;

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ან სატელეფონო ზარით.

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს. ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს;

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში: -- %;[12]

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი Term SOFR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;)

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი EURIBOR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;)

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;)

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი TIBR განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;)[13]

მომხმარებელს, უკმაყოფილების ან შენიშვნის არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს განაცხადოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, ასევე მიმართოს პრეტენზიის წარდგენის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მექანიზმებს. პრეტენზიაზე რეაგირება ხდება მისი მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

გაეცანით მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www. nbg.gov.ge/cp – და ცხელ ხაზზე 032 2406406.

---

[10] სუსიდირებული იპოთეკური სესხის შემთხვევაში („სუბსიდირებული იპოთეკური სესხი - ახალშობილი“/„სუბსიდირებული იპოთეკური სესხი - მრავალშვილიანი“)

[11] თუ ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი ითვალისწინებს დაგრძელვადიანების პირობას

[12] წითლად მონიშნული პუნქტები ეხება მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხს

[13] მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

Classification: Restricted to Partners

შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება No------

ქ. -------- **--.--**
.20---

მუხლი 1.

1.1. ბანკი: სს"პროკრედიტ ბანკი"; საიდენტიფიკაციო კოდი:204851197; ------

1.2. მსესხებელი/მსესხებლები: (სახელი, გვარი, (პ/ნ -----), მისამართი)
თანამსესხებლები, ვთანხმდებით შემდეგზე:[14]

მუხლი 2.

ბანკი გასცემს მსესხებელზე კრედიტს, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (ს/კ /204582763/ შემდგომში „სააგენტო“) მიერ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს N388 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „სუბორდინირებული იპოთეკური სესხის“ (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში.[15]

2.1. **კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა:** ----.-- ლარი/ევრო/აშშ დოლარი.
მსესხებლები თანხმდებიან მასზედ, რომ სესხის სრული თანხა ჩაირიცხება (მსესხებლის *სახელი და გვარი*-ს) ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე (*მიმდინარე ანგარიშის ნომერი)*, რასთან დაკავშირებითაც ბანკს აძლევენ შეუქცევად დავალებას. [16]

2.2. **საპროცენტო განაკვეთი კრედიტის თანხაზე:** -- % წლიური.

2.3. **კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:**

(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური;)[17]
(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული. -- % წლიური;
--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. **(**რეფინანსირების განაკვეთს**)**
(EURIBOR-ს**)(**Term SOFR-ს**)(**TIBR-ს**)** დამატებული -- %;)[18]
(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ინდექსირებული. -- % წლიური. **(**რეფინანსირების განაკვეთს**)**
(EURIBOR-ს**)(**Term SOFR-ს**)(**TIBR-ს**)** დამატებული -- %;)[19]

რეფინანსირების განაკვეთის შემთხვევაში:

(საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი. სესხის გაცემის მომენტისათვის რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთია **--** %. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ წლიური **---** %-ისა და არაუმეტეს წლიური --- %-ისა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი) საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ გვერდიდან: www.nbg.gov.ge.**)**

EURIBOR-ის შემთხვევაში:

(ევროს -- თვიან დეპოზიტზე ევროპის შიდა საბანკო ბაზარზე წამყვანი ბანკების მიერ ქვოტირების საფუძველზე მიღებული (ან დადგენილი) ევროს საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დამრგვალებული მეასედებამდე (შემდგომში „EURIBOR“). სესხის მიზნებისათვის „EURIBOR“-ის საპროცენტო განაკვეთია **--** %. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება „EURIBOR“-ი, მაგრამ არაუმეტეს წლიური --- %-ისა თუ „EURIBOR“-ი ნულზე ნაკლებია, მაშინ „EURIBOR“-ი ითვლება ნულად. ხელშეკრულების მიზნებისათვის გამოიყენება შესაბამისი ვადიანობის EURIBOR, რომელიც გაანგარიშებული და გამოქვეყნებულია ორი საბანკო დღით ადრე. ხელშეკრულების მიზნებისათვის „EURIBOR“-ის განახლება ხდება თუ ბანკის და „EURIBOR“-ის გამოქვეყნების დღე იქნება საბანკო/სამუშაო დღე. მიმდინარე აქტუალური განაკვეთის ნახვა შეიძლება შემდეგი ინტერნეტ გვერდიდან: https://www.global-rates.com/en/interest-rates/euribor/.**)**

Term SOFR შემთხვევაში:

(CME GROUP-ის მიერ გამოქვეყნებულ, აშშ დოლარში დენომინირებული უზრუნველყოფილი ერთდღიანი ბანკთაშორისი დაფინანსების საპროცენტო განაკვეთის (SOFR) საპროგნოზო -- თვიანი საშუალო

---

14 თანამსესხებლობის შემთხვევაში

15 თუ გაიცემა სუბორდინირებული იპოთეკური სესხი თანახმად საქართველოს მთავრობის 02.08.2021წ. N388 დადგენილებისა

16 თანამსესხებლობის შემთხვევაში

17 თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;

18 თუ სესხი გაიცემა ფიქსირებული და ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით (შერეულ განაკვეთიანი სესხი);

19 თუ სესხი გაიცემა მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით;

მაჩვენებელი (შემდგომში „Term SOFR“). სესხის მიზნებისათვის (CME Group-ის მიერ გამოქვეყნებული, დამრგვალებული მეასედებამდე) Term SOFR-ის საპროცენტო განაკვეთია **--%**. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება Term SOFR-ი, მაგრამ არანაკლებ წლიური **--%**-ისა და არაუმეტეს წლიური --%-ისა. Term SOFR დგინდება ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის მოლოდინების გათვალისწინებით; კალკულაციის მეთოდი ითვალისწინებს Term SOFR -ის გამოქვეყნების წინა სამუშაო დღეს არსებული ფინანსური ინსტრუმენტების საშუალო საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება ერთდღიან ბანკთაშორისი დაფინანსების საპროცენტო განაკვეთებს (SOFR). ხელშეკრულების მიზნებისათვის გამოიყენება შესაბამისი ვადიანობის CME Term SOFR, რომელიც გაანგარიშებული და გამოქვეყნებულია ორი საბანკო დღით ადრე. ხელშეკრულების მიზნებისათვის Term SOFR-ის განახლება ხდება თუ ბანკისა და CME Group-სთვის იქნება საბანკო/სამუშაო დღე. მიმდინარე აქტუალური განაკვეთის ნახვა შეიძლება შემდეგი ინტერნეტ გვერდიდან: https://www.cmegroup.com/market-data/cme-group-benchmark-administration/term-sofr.html. მონაცემების განახლება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში.**)**

TIBR-ის შემთხვევაში:

(საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული TIBR განაკვეთი არის საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს შორის ეროვნული ვალუტით გაცემული ერთდღიანი არაუზრუნველყოფილი სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, რომლიც გაანგარიშებულია ორი საბანკო დღით ადრე თარიღისათვის და გამოქვეყნებულია წინა საბანკო დღეს. სესხის მიზნებისათვის TIBR განაკვეთია **--** %. ხელშეკრულების მიზნებისათვის TIBR განაკვეთი ბანკის მიერ დამრგვალებულია მეასედებამდე. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის/მსესხებლების დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად, ყოველ -- თვეში ერთხელ, გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება TIBR განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ წლიური **--** %-ისა და არაუმეტეს წლიური --- %-ისა. TIBR განაკვეთს ადგენს და აქვეყნებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ გვერდიდან: https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr)

2.4. **ყოველთვიური შენატანები (**(ძირითადი თანხა და პროცენტი): ----.-- ლარი/ევრო/აშშ დოლარი. **ვადის ბოლოს შენატანი** ----.-- ლარი/ევრო/აშშ დოლარი.**)**[20] **(**თანდართული გრაფიკის შესაბამისად.**)**[21] **(**შენატანები შეიცვლება ინდექსის ცვლილების შესაბამისად;**)**[22]

2.5. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: -- ლარი/აშშ დოლარი/ევრო

2.6. კრედიტის და საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --- თვე;

2.7. კრედიტის მთლიანი თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი გასატანი თანხის ოდენობა: --; წინამდებარე კრედიტი გაცემულია სესხის ვადის დაგრძელვადიანების პირობით. სასესხო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მსესხებლის მომართვის შემთხვევაში, ბანკი კისრულობს ვალდებულებას სესხის ვადა გაახანგრძლივოს არაუმეტეს სესხის გაცემიდან -- თვემდე ვადით, ხოლო ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩება უცვლელი.[23]

2.8. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- %; **(**კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.**)**[24]

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი Term SOFR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;**)**
(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი EURIBOR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;**)**
(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;**)**

(ეფექტური საპროცენტო განაკვეთი TIBR განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;**)**[25]

2.9. კრედიტის გაცემის საკომისიო: --.--

2.10. დაზღვევის ხარჯი: --.--

2.11. თანხის განაღდების საკომისიო: --.--

2.12. გადარიცხვის საკომისიო: --.--

2.13. უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი: --.--

2.14. ნოტარიული ხარჯი: --.--

2.15. სესხის გაცემის საკითხის განხილვის საკომისიო: --.--

---

[20] თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები თანაბარია

[21] თუ სესხის გრაფიკით განსაზღვრული შენატანები არათანაბარია

[22] მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

[23] თუ ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი ითვალისწინებს დაგრძელვადიანების პირობას

[24] მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

[25] მხოლოდ ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე

2.16. კრედიტის ვადამდე დაფარვის საკომისიო: ა) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი ფიზიური პირის, ასევე, მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ არ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), წინსწრებით დაფარული კაპიტალის არაუმეტეს 0.5%. ბ) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), ასევე, ვალდებულების მოცულობის მიუხედავად, მსესხებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში; ბ) 0,5% 6-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;) (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში, ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვემდე ვადის შემთხვევაში; ბ) 0.5% - 6-დან 12 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 12-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; დ) 2 % - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში;) (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0.5% - 6 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში და 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში;)

(პროექტის მოქმედების პერიოდში საკუთარი სახსრებით დაფარვის შემთხვევაში 0%;)[26]

2.17. სესხზე საშეღავათო პერიოდის არსებობისას, მისი წინასწარ ნაწილობრივი ან სრული დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი/პირგასამტეხლო/ნებისმიერი სახის ხარჯი სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.18. **ვადაგადაცილების პირგასამტეხლო:** სესხის ვადაგადაცილებული შენატანიდან ძირითადი თანხის --- % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობის დაანგარიშება ყოველი ვადის გადაცილებისას არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

2.19. წინამდებარე ხელშეკრულება უზრუნველყოფილია/უზრუნველყოფილი იქნება მომავალში გასაფორმებელი უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით.

2.20. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფის საგნის დაზღვევა სავალდებულოა.

2.21. კრედიტის ტიპი: (საცალო სესხი)(ბიზნეს სესხი)

2.22. მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ „დამატებითი სახელშეკრულებო პირობების“ მუხლი 8^1, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.[27]

მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.[28]

მუხლი 3.

3.1. ბანკი გასცემს მსესხებელზე კრედიტს, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

3.2. კრედიტის მიზანი: ----------

3.3. პირგასამტეხლო:

3.3.1. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.3.2. პირგასამტეხლოს დარიცხვა ვალდებულების სრულ შესრულებამდე გრძელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის შეწყვეტს ხელშეკრულებას.

3.6. მსესხებლები კისრულობენ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებები შეასრულონ ერთად, სოლიდარულად და თანაბარმნიშვნელოვნად, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებით, ისე რომ მათ მიიღონ მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. აღნიშნულის საფუძველზე, ბანკს უფლება ეძლევა საკუთარი შეხედულებისამებრ, მთლიანი ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მსესხებელს/სოლიდარულ მოვალეს.

3.7. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მთლიანი ვალდებულება შეადგენს კრედიტის/სესხის/საბანკო პროდუქტის ძირითად თანხას, დარიცხულ პროცენტებს, პირგასამტეხლოს, ნებისმიერი ვალდებულების

---

[26] სუსიდირებული იპოთეკური სესხის შემთხვევაში („სუბსიდირებული იპოთეკური სესხი - ახალშობილი“/„სუბსიდირებული იპოთეკური სესხი - მრავალშვილიანი“)

[27] თუ მსესხებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

[28] თუ მსესხებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეულ ზიანს, ქონების მოძიებაზე, შენახვაზე და მის რეალიზაციაზე ბანკის მიერ გაწეულ დანახარჯებს, მათ შორის სასამართლო, სასამართლოს გარეშე, არბიტრაჟის და სააღსრულებო ხარჯებს, აგრეთვე პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს.

3.8. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს გადასახდელი თანხის და გადასახდელ თანხაზე დარიცხული პროცენტების, ასევე ნებისმიერი სხვა გადასახდელებისა და პირგასამტეხლოს/ჯარიმების დაფარვა ნებისმიერი მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველი ანაბრის ანგარიშებზე და/ან მის/მათ სხვა ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხების უაქცეპტოდ (ნებისმიერი სოლიდარული მოვალის დამატებითი თანხმობის გარეშე) ჩამოწერის გზით (მათ შორის, ვალდებულების თანხისგან განსხვავებულ ვალუტაში). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია ანგარიშის მფლობელი ნებსიმიერი სოლიდარული მოვალის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.[29]

*** ქვემოთ მოცემული ტექსტი ეხება მხოლოდ საქართველოს მთავრობის 02.08.2021წ. N388 დადგენილების ფარგლებში გაცემულ სუბსიდირებულ იპოთეკური სესხებს (**„სუბსიდირებული იპოთეკური სესხი - ახალშობილი“/„სუბსიდირებული იპოთეკური სესხი - მრავალშვილიანი“**)**

3/1.1. სააგენტოსა და ბანკს შორის პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტო უზრუნველყოფს წინამდებარე კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას სესხის ვადით, მაგრამ არაუმეტეს/მაქსიმუმ 60 თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3,5%-ის, მაგრამ არაუმეტეს 6%-ის ოდენობით - თუ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მსესხებელს ყავს 1 ან 2 შვილი ან განაკვეთს გამოკლებული 1,5%-ის, მაგრამ არაუმეტეს 8%-ის ოდენობით, თუ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მსესხებელს ყავს 3 ან მეტი შვილი. ზემოაღნიშნული, არ გამორიცხავს მსესხებლის ვალდებულებას, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე სააგენტოს მიერ მიზნობრივი სუბსიდირების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში, უზრუნველყოს კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდა, ასევე მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულება.

3/1.2. წინამდებარე კრედიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას სააგენტო უზრუნველყოფს იმ დრომდე, სანამ დარიცხული რეფინანსირების განაკვეთი გაუტოლდება 5%. ამასთან, რეფინანსირების განაკვეთის 5%-მდე შემცირების შედეგად სააგენტოს მიერ შეწყვეტილი სუბსიდირება, ავტომატურად განახლდება რეფინანსირების განაკვეთის 5%-ზე მეტად გაზრდისთანავე, სუბსიდირების დარჩენილი ვადით.

3/1.3. სააგენტო უზრუნველყოფს წინამდებარე სესზე დარიცხული პროცენტის გაზრდილი ოდენობით სუბსიდირებას ხელშეკრულების 3/1.1. პუქნტში მითითებული განაკვეთის ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს, რომელსაც ჰყავს 2 არასრულწლოვანი შვილი პროექტის მოქმედების პერიოდში შეეძინება შვილი ან/და შვილად აიყვანს არასრულწლოვან პირს. პროცენტის გაზრდილი ოდენობით სუბსიდინირების ვალდებულება სააგენტოს წარმოეშობა, აღნიშნული ფაქტის შესახებ სააგენტოს სათანადო წესით ინფორმირების შემდგომ, თუ ინფორმირების მომენტში ყველა შვილი არასრულწლოვანია.

3/1.4. სუბსიდირება განხორციელდება მხოლოდ მსესხებლის მიერ შენატანის გადახდის შემთხვევაში. სააგენტოს მიერ ყოველთვიური სუბსიდირების თანხის ოდენობა დაითვლება წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის გათვალისწინებით ხელშეკრულების 3/1.1. პუქნტში გათვალისწინებული განაკვეთების შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულების გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ მსესხებლის სუბსიდირება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოსთვის სუბსიდირების თავდაპირველი ვადა დარჩება უცვლელი, ან შემცირდება.

3/1.5. სააგენტოს მიერ სუბსიდირება წყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) მსესხებლის მიერ პროექტით დადგენილი პირობებით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულებისას;

ბ) მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისას, კერძოდ, სესხის გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანის 120 (ას ოცი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების ან/და ბანკის სააღსრულებო ფურცლის მიღებისას;

გ) პროექტის პირობების შეუსაბამოდ რესტრუქტურიზაცია/რეფინანსირებისას (მიმდინარე კრედიტის მთლიანი ან ნაწილობრივი დაფარვა/გადაფარვა/გაზრდა იმავე ან სხვა კომერციული ბანკისგან მიღებული ახალი კრედიტით), რაც გულისხმობს, რომ მიმდინარე კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა იზრდებოდეს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებისთვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა;

დ) წინამდებარე ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და პროექტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3/1.6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს N388 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „სუბორდინირებული იპოთეკური სესხის“ პირობები და აღნიშნული პროექტიდან გამომდინარე მსესხებლის ყველა ვალდებულება. ამასთან, მსესხებელი აცხადებს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ დაკრედიტების კრიტერიუმებს, რაც დასტურდება მის მიერ ბანკისათვის წარმოდგენილი

---

[29] 3.6. – 3.8.. პუნქტები: თანამსესხებლობის შემთხვევაში

დოკუმენტაციით (უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა/უფლების დამდგენი დოკუმენტი/მოწმობა), რომლის დამუშავება ემსახურება დაკრედიტებისა და მომსახურების მიღების მიზნებს და მსესხებლის თანხმობით გადაეცემა სააგენტოს.

3/1.7. მხარეთა შეთანხმებით, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე სააგენტოს მიერ მიზნობრივი სუბსიდირების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის/შეჩერების ან სუბსიდირების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს საკრედიტო ხელშეკრულების პირობები, რომლებიც განსაზღვრულია პროექტის მოთხოვნებით და წინამდებარე კრედიტის მიმართ ამოქმედდება პროექტის შეწყვეტის/შეჩერების/დასრულების მომენტისთვის ბანკში მოქმედი სტანდარტული საკრედტო ხელშეკრულების დებულებები/პირობები.

მუხლი 4.

4.1. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია თავისუფალი წერილობითი ან სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფურცლის შევსებით, ასევე ელექტრონული ფორმით (რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ოფისებში) ან ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge პრეტენზიის ფორმის დარეგისტრირებით. პრეტენზიაზე რეაგირება ხდება მისი მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, რომელსაც განიხილავს ბანკში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

4.2. კრედიტის დაბრუნება და პროცენტების გადახდა ხორციელდება კრედიტის დაფარვის გრაფიკის მიხედვით (დანართი N1).

4.3. შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს პირობების მსესხებლის სასარგებლოდ შეცვლისას.

4.4. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. ცვლილების/დამატების შეტანისთვის წერილობითი ფორმის დაცვა და/ან ცვლილების შესახებ შეტყობინება სავალდებულო არ არის როდესაც კეთდება მომხმარებლის სასარგებლო ცვლილება. ასევე, ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ან/და დამატება თუ მსესხებლის, თანამსესხებლის, სოლიდარული თავდების (თუ სესხი უზრუნველყოფილია სოლიდარული თავდებობით) ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიერ არ შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული No ----- გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება აღნიშნული გენერალური ხელშეკრულების მოქმედება, თუ წინამდებარე ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. წინამდებარე ხელშეკრულებაზე აგრეთვე მოქმედებს და ვრცელდება „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“, რომლითაც ასევე განსაზღვრულია მხარეთა სხვადასხვა სახის უფლება-მოვალეობანი და სახელშეკრულებო პირობები. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ განთავსებულია როგორც ბანკის ოფისებში, ასევე ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო „დამატებით სახელშეკრულებო პირობებს“, ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს მათი შესრულების ვალდებულებას.

4.6. ბანკი უფლებამოსილია, „დამატებით სახელშეკრულებო პირობებში“ მოცემული წესით და მიზნებიდან გამომდინარე, დაამუშავოს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი (მათ შორის, საბანკო, კომერციული, პერსონალური და ბიომეტრული) მონაცემები, მათ შორის: გამოითხოვოს ინფორმაცია სს “კრედიტინფო საქართველოდან”, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოდან“, სსიპ „აწარმოე საქართველოდან“, გადასცეს მსესხებლის და/ან წინამდებარე ხელშეკრულების/კრედიტის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია სს “კრედიტინფო საქართველოს”, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“, სსიპ „აწარმოე საქართველოს“, მიიღოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან“.

4.7. თუ კრედიტის მოცულობა აღემატება 2 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, მსესხებელი ვალდებულია, მიმართოს ბანკს წერილობითი ფორმით, კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვამდე 14 კალენდარული დღით ადრე.

4.8. ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას, ხელმომწერის მიერ წინამდებარე გარიგების დადასტურებას ინტერნეტ ბანკინგით, შეთანხმებული მეილით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი სხვა სანდო საკომუნიკაციო არხით, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და გარიგება ძალაშია დადასტურების მომენტიდან. აღნიშნული ფორმით გარიგების დადასტურება არ შეიძლება გახდეს სადაო მატერიალურ დოკუმენტზე ფიზიკური ხელმოწერის არარსებობის გამო.

4.9. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ან სატელეფონო ზარის მეშვეობით მეშვეობით.

4.10. ბანკის საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი. მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1.

4.11. მსესხებელი აცხადებს, რომ გაეცნო ბანკის ფილიალში/ვებ-გვერდზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობებს და თანხმობას აცხადებს, საჭირო მოცულობით, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

4.12. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია მხარეებს შორის ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ინახება ბანკში, ხოლო მეორე გადაეცემა მხარე(ებ)ს.

Classification: Restricted to Partners

დანართი: N1

კრედიტის დაფარვის გრაფიკი

წინამდებარე გრაფიკში მოცემული მონაცემები მოქმედია საპროცენტო განაკვეთის, ინდექსის ან სხვა ფინანსური ხარჯების ცვლილებამდე

გაცემის თარიღი: **--.--.20--**
საპროცენტო განაკვეთი: **--.--** % წლიური;
სესხის თანხა: **-------.-- ლარი/ევრო/აშშ დოლარი (თანხა სიტყვიერად)** ;

სესხის გრაფიკის ველების დასახელება

#	თარიღი	დღე	შენატანი (ჯამი)	კლიენტის შენატანი	ძირი	პროცენტი (ჯამი)	სააგენტოს პროცენტი	კლიენტის პროცენტი	დაგროვილი %-ის წილი	დარჩენილი დაგროვილი პროცენტი	სალდო